ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | გაზაფხული 2024
U8 (VI, VII, VIII კლასები)
02.06.2024

1. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

Cheíl

]
სარეკლამო სააგენტო “ჩეილი” სხვადასხვა ქვეყანაში **წამყვან პოზიციას** იკავებს. **სიმბოლურია**, რომ კორეული ენიდან სიტყვა “ჩეილ” შეიძლება ითარგმნოს, როგორც “**ასეთი**”. **ეს შეკითხვაც არის ასეთი**. დაწერეთ სიტყვა, რომელიც შევცვალეთ სიტყვით “ასეთი”.

პასუხი: პირველი
კომენტარი: თუ მასალას დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ კომპანიის ლოგოზე ბოლო ორ ასოს შორის (ინგლისურ აისა და ელს შორის) თეთრ სივრცეში ჩამალულია ციფრი ერთიანი. კორეული ენიდან სიტყვა “ჩეილ” შეიძლება, ვთარგმნოთ, როგორც “პირველი, საუკეთესო”. ეს შეკითხვაც იყო პირველი.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთი სერიალის პერსონაჟი, რომელიც **უშედეგო მცდელობებით დაიღალა**, ამბობს, რომ **იქსის აწყობა** მხოლოდ **საღებავით** არის შესაძლებელი. იქსის აწყობაში **მსოფლიო რეკორდი** მიახლოებით **3 წამია**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: რუბიკის კუბი
კომენტარი: პერსონაჟმა ვერაფერი გაუგო ამ თავსატეხს და აღნიშნა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს კუბის “აწყობას”, თუ გვერდებს საღებავით შეღებავს მისთვის სასურველ ფერებში. რუბიკის კუბის აწყობაში მსოფლიო რეკორდი სულ რაღაც 3.13 წამია.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
“**ჰარი პოტერის**” **ინდურ** პაროდიაში **ცოცხების** ნაცვლად იყენებენ **იქსებს**. ერთი **იმპერიის სულთანს** დაუმზადეს **იქსი მსოფლიო რუკის გამოსახულებით**, რათა ხაზი გაესვათ, რომ მთელი **მსოფლიო** მის **ფეხქვეშ** იყო. დაწერეთ იქსი ერთი **ექვსასოიანი** სიტყვით, რომელიც ქართულ ენაში **სპარსულიდან** დამკვიდრდა.

პასუხი: ხალიჩა
კომენტარი: ჰარი პოტერის წიგნების სერიაში ჯადოქრები საფრენად იყენებენ ცოცხებს, ხოლო მის ინდურ ვერსიაში ფრენისთვის ხალიჩები გამოიყენეს. სიტყვა “ხალიჩა” სპარსული სიტყვიდან მომდინარეობს.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
მას შემდეგ, რაც **ტომ სოიერი** დაიჩივლებს, რომ **იქსი სტკივა**, დეიდა პოლი მაშინვე **აბრეშუმის ძაფის ძებნას** იწყებს. სხვა წიგნის პერსონაჟი, რომელსაც იქსი აწუხებს, **გაჩერებულ მატარებელს მიამაგრებს თოკს**, ხოლო თოკის **მეორე ბოლოს შემოახვევს იქსს**. დაასახელეთ იქსი ერთი **ხუთასოიანი** სიტყვით, რომელშიც **ყველა ხმოვანი ერთნაირია**.

პასუხი: კბილი
კომენტარი: დეიდა პოლი აბრეშუმის ძაფს შემოახვევს ტომის კბილს, ხოლო ძაფის მეორე ბოლოს საწოლის ფეხს გამოაბამს. ამავე მეთოდს იყენებს სხვა წიგნის პერსონაჟიც, იმ განსხვავებით, რომ მას მტკივანი კბილი მატარებლის დაძვრის შემდეგ მოსძვრება.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთი რომანის პერსონაჟი **მიყოლებით მოძრაობს** ქალაქის **განათებულ** და **ჩაბნელებულ** ნაწილებში, თითქოს **იქსზე გადაადგილდებოდეს**. იქსზე შეგიძლიათ, ნახოთ **ციფრები** და **ანბანის რვა ასო**. დაასახელეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: ჭადრაკის დაფა
კომენტარი: პერსონაჟის მონაცვლეობითი მოძრაობა ბნელ და ნათელ ადგილებში წააგავს ჭადრაკის დაფაზე თეთრ და შავ უჯრებს შორის სიარულს. ჭადრაკის დაფაზე ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად გამოსახულია ციფრები 1-დან 8-მდე და ანბანის ასოები.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
ერთი ნაწარმოების პერსონაჟი ამერიკაში განვითარებული **კრიზისის დროს** თავს დატეხილ **პრობლემებს განერიდა** და გახდა სატვირთო **მანქანის მძღოლი**. პერსონაჟი თავის **მანქანას ადარებს იქსს**. იქსი გამოსახულია **დარიგებულ მასალაზეც**. დაასახელეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: ნოეს კიდობანი
კომენტარი: წიგნში ამერიკის კრიზისი შეადარეს წარღვნას, ხოლო მანქანა - კიდობანს, რომელიც ნოეს დაეხმარა წარღვნის დროს გადარჩენაში. მასალაზე ხედავთ ცხოველებს, რომლებიც მიემართებიან ნოეს კიდობნისკენ.

7. 5-ქულიანი შეკითხვა
ჯულიან ბარნსის თქმით, **ნოეს კიდობნიდან გამოსვლის** შემდეგ ეს **არსება** ძალიან კმაყოფილი

იყო, თითქოს უკვე ხედავდა საკუთარ მომავალ **გამოსახულებებს საფოსტო მარკებზე**. ერთი **ექვსასოიანი** სიტყვით დაასახელეთ ეს არსება.

პასუხი: მტრედი
კომენტარი: ჯულიან ბარნსის თქმით, მტრედი კმაყოფილი უნდა ყოფილიყო იმით, რომ კიდობნიდან გამოშვების შემდეგ მიწა აღმოაჩინა. გამოსახულებები საფოსტო მარკებზე დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა, რადგანაც მტრედებს წარსულში საფოსტო დანიშნულებით იყენებდნენ.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]
კაპიტნების რაუნდის შეკითხვა.
ერთი სიმღერის პერსონაჟი ამბობს, რომ ის **ბრძოლიდან დაბრუნდება იქსით ან იქსზე**. იქსი **მარველის სუპერგმირის** მთავარი **იარაღია**. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: ფარი
კომენტარი: სიტყვები "ფარით ან ფარზე" სპარტელებს მიეწერებათ. ბრძოლიდან ფარით დაბრუნება ბრძოლაში გამარჯვებას, ხოლო ფარზე დაბრუნება კი სიკვდილს გულისხმობდა. ჩვენ განზრახ გავაჟღერეთ შეკითხვა კაპიტანი ამერიკას შესახებ კაპიტნების რაუნდზე.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში **ამერიკელები** ქმნიან ხომალდს, რომელიც **ახალი სამყაროს აღმოსაჩენად** უნდა გაფრინდეს. **სიმბოლურია**, რომ ამ ხომალდს ამერიკელები სახელს დაარქმევენ ცნობილი **მეზღვაურის პატივსაცემად**. ამავე მეზღვაურის პატივსაცემად უწოდეს სახელი **ქვეყანას სამხრეთ ამერიკაში** და **ქალაქს ოჰაიოს შტატში**. დაასახელეთ ეს მეზღვაური.

პასუხი: ქრისტეფორე კოლუმბი
კომენტარი: სიმბოლურია, რომ ახალი სამყაროს აღმოსაჩენად გამიზნულ ხომალდს უწოდეს იმ ადამიანის სახელი, რომელმაც თავად აღმოაჩინა ახალი სამყარო - ამერიკის კონტინენტი. ქრისტეფორე კოლუმბის გავლენით ეწოდა სახელი სახელმწიფო კოლუმბიას და ოჰაიოს ქალაქ კოლუმბუსს.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
სიტყვით "**აქ**" შეცვლილია **ორი სიტყვა**.
ფერნანდო **მაგელანის** ექსპედიციამ მოგზაურობა დაიწყო **ესპანეთიდან**, გადალახა **წყნარი ოკეანე**, ჩააღწია **ფილიპინებში** და ბოლოს **დაბრუნდა ესპანეთში**. ეს ექსპედიცია ითვლება პირველ ექსპედიციად, რომელმაც **იმოგზაურა აქ**. **რამდენი დღის** განმავლობაში მოგზაურობდნენ **აქ** ჟიულ **ვერნის წიგნის პერსონაჟები**?

პასუხი: 80
ჩათვლა: 79
კომენტარი: ჩვენ ჩამოგითვალეთ მაგელანის მოგზაურობის თანმიმდევრობა, რათა ამოგეცნოთ, რომ მაგელანის ექსპედიციამ დედამიწის გარშემო იმოგზაურა და საწყის წერტილში დაბრუნდა.

ჟიულ ვერნის წიგნის პერსონაჟები - ფილეას ფოგი და პასპარტუ - დედამიწის გარშემო მოგზაურობენ 80 დღის განმავლობაში.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
სტატიაში, სათაურით "**გადააქციე საქმე თამაშად**" ნახსენებია **თქვენთვის ცნობილი ამერიკელი მწერლის პერსონაჟი**. სტატიის ავტორი ხაზს უსვამს ამ პერსონაჟის უნარს, **დაარწმუნოს სხვები**, რომ **მის ნაცვლად** შეასრულონ **დამღლელი სამუშაო**. დაასახელეთ ეს პერსონაჟი.

პასუხი: ტომ სოიერი
კომენტარი: სტატიაში განხილულია, თუ როგორ შეძლო ამ პატარა ბიჭმა, დაერწმუნებინა თანატოლები, რომ მესრის შეღებვის დამღლელი სამუშაოს შესრულება დიდი პრივილეგია იყო. შედეგად, მთელი საქმე მის ნაცვლად მისმა მეგობრებმა გააკეთეს, თავად კი ისვენებდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით ტომ სოიერმა საქმე თამაშად გადააქცია.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთხელ **ერთი და იგივე** არმიის ორ **სხვადასხვა ენაზე** მოსაუბრე **ნაწილები** ბრძოლის ველზე **შემთხვევით შეხვდნენ** ერთმანეთს. უეცარმა შეხვედრამ **გაურკვევლობა** გამოიწვია, რომელიც განმუხტა დაპირისპირებული მხარეების **ორმა ექიმმა**, რომლებმაც **იცოდნენ იქსი**. იქსი **რომის იმპერიაში** წარმოიშვა. დაასახელეთ იქსი ერთი ან ორი სიტყვით.

პასუხი: ლათინური ენა
ჩათვლა: ლათინური
კომენტარი: ორივე ნაწილი ერთ არმიას ეკუთვნოდა, თუმცა ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ და ერთმანეთი ვერ იცნეს. არმიის ნაწილებს გაურკვევლობის ნიადაგზე ერთმანეთთან ბრძოლაც კი შეიძლება დაეწყოთ. მხარეებს შორის საერთო ენის პოვნა შეძლეს მათმა ექიმებმა, რადგან ექიმებს, პროფესიული ვალდებულებიდან გამომდინარე, ნასწავლი ჰქონდათ ლათინური ენა.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
საფეხბურთო კლუბ "**ლევერკუზენს**" დაარსებიდან **ას წელზე მეტი ხნის** განმავლობაში ეროვნული ჩემპიონატი **ერთხელაც არ** ჰქონდა მოგებული. ერთი შეხედვით **დაუსრულებელ წარუმატებლობაზე** ხაზგასასმელად, "ლევერკუზენს" შეარქვეს სახუმარო მეტსახელი, რომელიც კლუბის სახელში **პირველი ასოს შეცვლით მიიღება**. პასუხების ფურცელზე დაწერეთ ეს შეცვლილი ასო.

პასუხი: ნ
ჩათვლა: N
კომენტარი: იმის ხაზგასასმელად, რომ "ლევერკუზენი" ტიტულებს ვერასდროს იგებდა, კლუბს შეარქვეს "ნევერკუზენი". სიტყვა "Never" ნიშნავს "არასდროს". თუმცა, სულ ახლახანს კლუბმა უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია და გერმანიის ჩემპიონი გახდა.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა
Lie-__]

მასალაზე გამოსახულია თანამედროვე **ტექნოლოგიური** ჟარგონი. ამ ჟარგონით მოიხსენიებენ მდგომარეობას, როდესაც **მოწყობილობა დაკავშირებულია ინტერნეტთან**, მაგრამ ინტერნეტით **სარგებლობას მაინც ვერ ახერხებთ**. მასალაზე ჩვენ დავფარეთ **ორი ლათინური ასო**. დაწერეთ ეს ორი ასო.

პასუხი: Fi
კომენტარი: სიტყვა "Lie" ნიშნავს ტყუილს. მდგომარეობას, როცა ტელეფონი გიწერთ, რომ ინტერნეტთან დაკავშირებულია, მაგრამ ვებ-გვერდებზე მაინც ვერ შედიხართ, ცრუ კავშირად მოიხსენიებენ. ამგვარ ცრუ კავშირს ვაი-ფაის გავლენით ლაი-ფაი უწოდეს.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ყურადღება, შეკითხვაში **ცვლილებებია**!
ეს **პოეტი ღიზიანდებოდა**, როდესაც **ლექსების გამოცემებსა** და **მოსაწვევ ბარათებში** მისი **სახელი არასწორად ეწერა**. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მის სახელში **მეათის** ნაცვლად ბეჭდავდნენ **ოცდამეორეს**. **არ** გეკითხებით, რა შევცვალეთ სიტყვებით "მეათე" და "ოცდამეორე". დაასახელეთ ეს პოეტი.

პასუხი: გალაკტიონი
ჩათვლა: გალაქტიონი
კომენტარი: ქართული ანბანის მე-10 ასოა "კ", ხოლო 22-ე ასოა "ქ". გალაკტიონ ტაბიძე ბრაზობდა, როდესაც მას არა გალაკტიონად, არამედ "გალაქტიონად" მოიხსენიებდნენ.